წყლის რესურსების მართვის რეფორმა

რეფორმეტრი
თითოეული რეფორმის კვალდაკვალ

აღწერა:

წყლის რესურსების მართვის რეფორმა ეხება ეკონომიკური საქმიანობის ბევრ სფეროს და პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. რეფორმა მიზნად ისახავს წყლის ხარისხის გაუმჯობესებასა და წყლის ობიექტების დაბინძურების პრევენციას; წყლის რესურსების რაციონალური ხარჯვის ხელშეწყობასა და სხვადასხვა მომხმარებელს შორის რესურსების სამართლიან განაწილებას; ასევე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდას სასმელ წყალთან და სანიტარულ პირობებთან. ამ მიზნით შემუშავდა კანონპროექტი „წყლის რესურსების მართვის შესახებ", რომელიც განსაზღვრავს სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებს, რის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორია მდინარეთა ექვს სააუზე უბნად დაიყოფა და შემუშავდება სააუზო მართვის გეგმები. კანონპროექტს ზედაპირული წყლების სარგებლობისთვის შემოაქვს ეკონომიკური ინსტრუმენტები (მოსაკრებელი, ლიცენზიები) და წყლის რესურსების მონიტორინგის ქსელს აფართოვებს.

სააუზო ტერიტორიული ერთეულები:



წყარო: Water Information System of Georgia

არსებული მდგომარეობა და გამოწვევები:

- წყლის დიდი დანაკარგები: 2021 წელს, საყოფაცხოვრებო სექტორში წყლის მიწოდებისას 73% დაიკარგა. ირიგაციულ სისტემებში დანაკარგების დონე 19%-ს გაუტოლდა
- მოსახლეობის 29%-ს არ მიუწვდება ხელი სასმელ წყალთან, ხოლო თითქმის ნახევარს (48%-ს) - სანიტარულ პირობებთან
- საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მხოლოდ 37% ექვემდებარება გაწმენდას
- დაბინძურებული ჩამდინარე წყლები ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების 31%-ს შეადგენს

საყოფაცხოვრებო სექტორში წყლის დანაკარგები ტრანსპორტირებისას



მოსახლეების ხელმისაწვდომობა სასმელ წყალთან და სანიტარულ პირობებთან



შენიშვნა: ამ პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ის მთავრობის პოზიციას.

USAID ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა